შ.პ.ს. "კონსტუდიო"



ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის მუნიციპალიტეტი, ხიზანიშვილის ქ.108 (ს/კ: 01.11.10.008.202), 10 სართულიანი შენობის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2019

წინა პირობები:

შპს "მირაქსი"-ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია აღნიშნულ მისამართზე მშენებარე სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. ინდმეწარმე ზ. დევდარიანის მიერ 2019 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს "ბიმოსტუდიო"-ს მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის პროექტის ვექტორული ფაილი.
3. "მირაქსი"-ს მიერ "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით მოდელირებული შენობის გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს "მირაქსი"-ს მიერ შესრულებული კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

საპროექტო ობიექტი წარმოდგენილია 10 მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა (პარკინგი) სართულებით. სართულების მაქსიმალური სიმაღლე 3.30 მეტრია.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობისთვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხნარი მოყვითალო ყავისფერი, ტენიანი, ნახევრადმყარი, მტვეროვანი, ხვინჭის, ღორღის და ხრეშის ჩანართებით (ფენა II): φ=19.3^0; c=1.66 კპა; E=19 მპა. საძირკვლებად მიღებულია 100 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (800X400), დიაფრაგმების (b=200), კოჭების (400X550h, 200X550h) და გადახურვის ფილების (h=200) კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემით.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B25; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია პროგრამული კომპლექსის "მონომახ-საპრ 2013"-ის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.

ნახაზების სახით მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშება შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ჩვენს მიერ, პროექტის ავტორება გაითვალისწინეს, მიიღეს და ასახეს მუშა დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში.

დასკვნა:

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა შემდგომი გამოყენებისთვის.

ექსპერტი, ინჟინერიის დოქტორი,
შპს „კონსტუდიო"-ს დირექტორი

ედიშერ წოწერია

თბილისი 10-10-2019